საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8911/01
23/08/2021

8911-01-2-202108231054

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №19

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა, თქვენი 2021 წლის 30 ივლისის N13562 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 35 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 2“ და „ცემი 3“-ის რეკონსტრუქციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია პროექტის განხორციელების შედეგად მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ, მათი სახეობებისა და რაოდენობის მითითებით;
- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ფაუნის შესახებ, ეყრდნობა მხოლოდ ლიტერატურულ მონაცემებს და არ არის განხილული ფაუნის წარმომადგენლებზე ზემოქმედების შემარბილებელი და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები;
- წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმების შედეგად დადგინა, რომ „ცემი 3“-ის ეგხ-ს მცირე ნაწილი კვეთს ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას (IBA - GE019 თრიალეთის ქედი), აღნიშნული საკითხი განხილული არ არის სკრინინგის ანგარიშში;
- წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, „ცემი 2“-ის მთლიანი 51447 კვ.მ ფართობიდან, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 43662 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. ხოლო „ცემი-3“-ის მთლიანი 21198 კვ.მ ფართობიდან 6364 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფართობში. სკრინინგის ანგარიშში განხილული უნდა იქნეს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ზემოქმედების საკითხები.

- სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესრულების პერიოდში გამოყენებული საავტომობილო გზებისა და ტექნიკის შესახებ, ასევე განხილული არ არის ტრანსპორტირების საკითხები;
- სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის მანძილები საპროექტო საყრდენებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების კოეფიციენტების გაანგარიშება შესრულებული არ არის უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან;
- განხილული არ არის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობებისა და შემდგომი გამოყენების საკითხები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე